საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 473/ს
21/11/2022

473-21-4-202211211028

,,ქ. ფოთში, სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ,,ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე" გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" 2022 წლის 4 აგვისტოს N 233/ს ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

,,ქ. ფოთში, სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ,,ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე" გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" 2022 წლის 4 აგვისტოს N 233/ს ბრძანების მე-8 აბზაცში დაშვებულია ტექნიკური სახის შეცდომა და წინადადება შინაარსობრივად დაუსრულებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ქ. ფოთში, სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ,,ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე" გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" 2022 წლის 4 აგვისტოს N 233/ს ბრძანების მე-8 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,გზშ-ის ანგარიშში განხილულია, ასევე ფოთის ახალ ღრმაწყლოვან პორტთან დამაკავშირებელი მისასვლელი გზის/რკინიგზის ალტერნატიული მარშრუტების ანალიზი და აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. გზშ-ის ანგარიშში მოცემული განმარტებისა და კომპანიის მიერ ინფორმაციის დაზუსტების საფუძველზე, მისასვლელი გზების და სარკინიგზო მისასვლელის მშენებლობა განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ."

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს";
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო